ტესტის სახელწოდება
თავისუფალი პროსტატსპეციფიური ანტიგენი (Free PSA)

როგორ კეთდება ეს ტესტი?
საჭიროა ვენიდან სისხლის ნიმუშის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?
ანალიზის გაკეთებამდე 48 სთ-ის განმავლობაში, პაციენტი უნდა ერიდოს მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვას (მათ შორის, ველოსიპედით სეირნობას) და ეაკულაციას. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ანალიზი პროსტატის რექტალურ გასინჯვამდე ჩატარდეს. რაც შეეხება პროსტატის ბიოფსიას, ანალიზი უნდა გაკეთდეს ბიოფსიამდე ან ბიოფსიიდან 6 კვირის შემდეგ.
ანალიზის გაკეთებამდე საჭიროა ექიმთან კონსულტაცია და მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.